გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია 'ში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893



## „ივერია“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІА“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 24 ნოემბერს,

ბ ე ნ ე ფ ი ს ი

ს. პ. სვიმონიძისა

ქ. ქ. საფაროვი აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა და ალ.-მესხიევის მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის-მიერ

წარმოდგენილი იქნება:

### ორი ობოლი

დრ. 5 მოქ. და 7 სურ. თარ. ა. ცაგარლისა

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი $7^1/_2$ საათზედ

### ვკისრულობ

ყოველ გვარ სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებს სახელმწიფო დაწესებულებაში საწარმოებლად, ვწერ ყოველ გვარ არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე მამულების ბანკებში დაგირავებას და სხ.

მსურველთ მოგვმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ა დ რ ე ს ი: ჩუღურეთი, პანასევიჩის ქუჩა, სახლი ქობულაშვილისა, 17.

(10—3)


## ახალი ამბავი

*** დღეს, ოთხშაბათს, ქართულს თეატრში დანიშნულია ბენეფისი ჩვენის სცენისათვის სასარგებლო არტისტის ბ-ნის ს. სვიმონიძისა, რომელიც აგერ რამდენიმე წელიწადია, რაც ქართულს სცენაზედ ჰმოღვაწეობს და ასრულებს ზოგიერთს დრამატიულს როლებს. მებენეფისეს თავისის ბენეფისისათვის ამოურჩევია პიესა „ორი ობოლი“. ამ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ ჩვენის სცენის საუკეთესო არტისტი-ქალები და კაცები: ქ-ნნი საფაროვის ასული, გაბუნია ცაგარლისა, ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი და სხ. თვით მებენეფისე თამაშობს ჟაკის როლს. უეჭველია, რომ ასეთის საუკეთესო არტისტების მონაწილეობით „ორი ობოლი“ საუცხოოდ იქნება წარმოდგენილი.

*** ტფილისის გუბერნიის მარშალმა მთავარ-მართებელს წარუდგინა ხელმწიფესთან გასაგზავნად უქვეშევრდომილესი თხოვნა შესახებ ხიზანთა დებულების შეცვლისა. მთავარ-მართებელმა ეს წერილი გარდასცა საგლეხო საკრებულოს, რათა მან თვისი აზრი წარმოსთქვას. ამის გამო დღეს კრებაა დანიშნული, რათა საკრებულომ დაადგინოს თვისი აზრი და წარუდგინოს შემდეგ მთავარ-მართებელს.

მთავარ მართებელმა ქუთაისის გუბერნატორსაც მისწერა, შემატყობინეთ, რა უხერხულობა გამოიწვია ხიზანთა ახალმა დებულებამო.

*** ტფილისის საგლეხო საკრებულომ განიხილა ბორჯომის ხეობაში დასახლებულ მკვიდრთა საქმე და დაადგინა: უარი ეთქვას ბორჯომელებს ხიზნობაზე. უეჭველია, ეს საქმე სენატამდის მივა და დიდათ საყურადღებო იქნება სენატის განაჩენი, დაამტკიცებს თუ არა საგლეხო საკრებულოს გარდაწყვეტილებას.

*** ამ დღეებში პოლიციამ და სამხედრო ინჟენერათ მმართველობის ხუროებმა დაათვალიერეს უბანი „ნაძალადევი“ და აღმოჩნდა, რომ იქ ოცამდე კაცს თავიანთი შენობანი აუშენებიათ სახელმწიფო მიწაზე ნება-დაურთველად, თოფის წამლის საწყობების მახლობლად. ამიტომ ამ კომისიამ დაადგინა ყველა ეს შენობები, რომლებიც სახელმწიფო მიწაზე აუშენებიათ, დააქციონ.

*** ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ქუთაისის პოლიცმეისტერი თავადი ჭავჭავაძე დანიშნულ იქმნა ზუგდიდის მაზრის მეორე განყოფილების მომრიგებელ-შუამავალად და მის ადგილას განწესებულია ტფილისის პირველ განყოფილების ბოქაული სვიმონოვი.

*** სომხეთა პატრიარქ კათალიკოსი მკრტიჩი მომავალ გაზაფხულს პეტერბურგს გაემგზავრება.

*** ტფილისის საოპერო რამდენიმე არტისტი, რომელთაც სახელმწიფო თეატრში მსახურობის დრო გაუთავდათ, ბ-ნ სემიონოვ-სამარსკის თაოსნობით ამხანაგობას შეადგენენ და აპირობენ კავკასიის რამდენსამე ქალაქში წარმოდგენების გამართვას.

*** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა როსტოვიდგან აკიმ ნიკიტინი, რომელმაც იჯარით აიღო ტფილისის ცირკი. ცირკის გასუფთავებას და გაკეთებას ამ დღეებში შეუდგებიან. ცირკი ტფილისში ჩამოვა დეკემბრის 20-ს და გამართავს წარმოდგენებს.

*** გუშინ ტფილისში დეპეშა მოვიდა, რომლითაც იუწყებიან, რომ სპარსეთის შაჰი ამ თთვის 18-ს მძიმედ ავად გამხდარა.

*** ტფილისის პირუტყვთა მფარველი საზოგადოება ქალაქის მმართველობასა სთხოვს ნალბანდების საკუთარი ამქრის დაწესებას.

*** სოფ. კასპი (გორის მაზრა): ჩვენს სოფელშიაც მოხდა არჩევანი ახალის მამასახლისისა. სოფელს კასპს შემოუერთეს რამდენიმე სხვა გარშემო სოფლები, თითქმის თხუთმეტამდე და ურჩიეს ნასწავლისა და გაგებულის კაცის არჩევა მამასახლისად. 20 ნოემბერს ყველა სოფლების თავმა კაცებმა მოიყარეს თავი სოფელ კასპში. შეიკრიბა თითმის 600 კაცი. აქ იყვნენ ისინიც, ვისაც უნდოდა მამასახლისად ყოფილიყო არჩეული. ამათი რიცხვი საკმაოდ ბლომად იყო და დიდი ცილობაცა ჰქონდათ. დანიშნულს დროს მოვიდა ბოქაული მეჯვრისხევისა. ხალხის გუგუნი და გრიალი შესწყდა. ბოქაულმა აუხსნა გლეხკაცობას ყოველივე გარემოება საქმისა და ურჩია აერჩიათ ისეთი კაცი, რომელიც ნასწავლია, გაგებული და შეუძლიან მოუაროს ამდენს ერთად შეერთებულს სოფლებსაო. ხალხმა ერთხმად დაიძახა, ჩვენ მამასახლისად გვინდა თავადი გენო (იგივე თეიმურაზ) ამილახვარი და ის აგვირჩევია მამასახლისადაო. მეორე დღესვე ახალს მამასახლისს ჩააბარეს თანამდებობა და ყოველი საქმეები. იმედი აქვს ყველას, როგორც გლეხ-კაცობას, ისე თავად-აზნაურობასა და სხვა სოფლელებს, რომ ახალი მამასახლისი შესაფერს უნარს გამოიჩენს და კეთილად წარუძღვება თავის საკმაოდ მძიმე მოვალეობას.

*** ფ ო თ ი: 22 ნოემბერს გზა შეაკეთეს ფოთსა და სამტრედიას

## ფელეტონი

### წერილები შვეიცარიიდგან

I

გაგიგონია, მკითხველო, შვეიცარია? უეჭველია გეცოდინება, რომ ევროპაში არის ერთი პატარა ქვეყანა, რმელიც თავის მდებარეობით და ბუნების თვისებით ძალიანა ჰგავს ჩვენს სამშობლოს, საქართველოს. შვეიცარია თავის დიადის მთა-გორებით, მცენარეულობის და ნიადაგის სხვა-და-სხვაობით, ტბათა სიმრავლით და ჰაერის დაუდგრომლობით, განმარტოებული, განკერძოებული სდგას მთელს ევროპაში. ასე ჰგონია კაცს, ამ გვარი შეზავებული მხარე აქაურის ბუნების შვილი არ არისო, საიდღანაც მოუტანიათ და ევროპის შუაგულ ალაგას დაუბინავებიათო. აქ გაშლილი მინდორ-ველი და მიდამო იშვიათი სანახავია; მხოლოდ მდინარე რონის ხეობა, რომელიც გადაჭიმულია ორ ტბას შორის, მოგაგონებს რიონის ჭალებს. მაგრამ ეს ხეობა ისეთი პატარაა, რომ შვეიცარიის ერთი მესამედიც ძლივს იქნება. დანარჩენი სივრცე კი დაფარულია თვალთ-უწვდენელი მთებით. საკმაოა რამდენისამე საათის მოგზაურობა, რომ სრულად გაიცნოთ აქაური ბუნება. აი, მაგალითად, ჰდგევხართ ალპის მთის ძირში. თქვენ წინ გადაშლილია უხვი, მდიდარი ბუნება; ჰხედავთ ვენახებს, ყურძნით სავსეს, ლიმონებს გაფურჩქნილ-აყვავებულს, ათას ნაირ ხეხილს ნაყოფ-გამოღებულს,ამწვანებულ მიდამოს, ყვავილებით გაელფერებულს და სხ. აქ ზამთარიც-კი ზაფხულსა ჰგავს. ადიხართ ცოტა ზევით, მთის კალთებზედ და სანახაობა თანდათან იცვლება; ის, რასაც ძირს ჰხედავდით, აქ სრულებით ჰქრება: სხვა მცენარეულობა, სხვა ნიადაგი და ჰავა! ყოველ ფეხის გადადგმაზე ჰგრძნობთ, რომ ბუნება დაუდგრომელ რყევაშია, მუდმივ ცვლილებაშია და ბოლოს იმისთანა ალაგას ადიხართ, სადაც ადამიანის მარჯვენას ვერაფერი გაუწყვია და სადაც ყოველივე კულტურულ ზედგავლენას მოკლებულია. ეს არის მთის მწვერვალი. ამ მოგზაურობის დროს შევხვდებით ყველა იმ მცენარეულობას, რომელიც-კი მოიპოვება ევროპის სხვა-და-სხვა კუთხეში. ჩამოდიხართ მთიდან და გსურთ ჭალების დათვალიერება. არ იფიქროთ, ერთნაირი ნიადაგი იყოს ყველგან. ერთ ალაგას ჰხედავთ შავს, ნაყოფიერ მიწას, იქავე გვერდით ქვიშნარს, ცოტა მოშორებით შავი და წითელი მიწა ერთად შეზავებულა. როგორ მოთავსდა ასეთი სხვა-და-სხვაობა ამ პატარა ქვეყანაში? აი რა ფიქრი ებადება აქ კაცს. მერე იცით რამოდენაა შვეიცარია? ძლიერ პატარაა, ისეთი პატარა, რომ საქართველოს ოდენაც არ არის. სიგრძით 380 ვერსია, სიგანით-კი—200. ამ სივრცეზე სცხოვრობს სამი მილიონი ხალხი, და მერე რანაირი ხალხი! საშინლათ დანაწილებულია გვარტომობით, ენით, სარწმუნოებით, ზნე-ჩვეულებით და სხ. გერმანულ ენაზე საუბრობს 2 მილიონი. ფრანგულზე—638 ათასი, დანარჩენი—იტალიურზე. ამათში ერთ მილიონნახევარი პროტესტანტობას აღიარებს, ერთი მილიონი—კათოლიკობას, ათი ათასი—ებრაულს სარწმუნოებას, დანარჩენნი სხვა-და-სხვა სარწმუნოებას ეკუთვნიან. ამას მიუმატეთ ის, რომ აქ ცხოვრობს 200 ათასი უცხოელი ყოველ ნაირის ეროვნებისა და სარწმუნოებისა, დაწყებული ფრანგ-გერმანელით და გათავებული მექსიკელ-კანადელით. რა აკავშირებს ამათ? როგორ ცხოვრობენ ესენი ერთად? ნუ თუ საინტერესო არ არის ყოველ ამის გაგება?

ჩვენ ვხედავთ, რომ ყველა სახელმწიფოში ერთი რომელიმე ერი ბატონობს, სხვა ერნი-კი დამორჩილებულ-დამონავებულნი არიან. რიცხვით რომელსამე ვრცელს ქვეყანაში, შევიწროებულია, მისი დედა-ენა დევნილია, მწერლობა ფრთა-შეკვეცილი, ერთის სიტყვით გაბატონებულ ერს თავის თავის მეტი არავინა სწამს,—ჩემი ძლიერება სხვისი დაჩაგვრით აიდგავს ფეხსაო—აი რა ამოქმედებს გაბატონებულს ერს მაგ., შეჰხედეთ ავსტრიუნგრეთს, როგორ ავიწროებს პაწია ერთ, გერმანია—პოლონელთ, ინგლისი—ირლანდიას და სხ. შვეიცარიაში-კი ყველა ერი ბატონია, ყველას ენას თავისუფლება აქვს, ყველა ხალხს თანასწორი ხმა მიჰნიჭებია. აქ ერის უნცროს-უფროსობა, ბატონყმობა, მონა-მორჩილობა სრულებით არ არსებობს. ერთა თავისუფლება—აი რით ჰხელმძღვანელობს შვეიცარიელი. ეს ქვეყანა ნათლად უმტკიცებს კაცობრიობას, რომ შესაძლებელია სხვა-და-სხვა ერის ერთად, ძმურად ცხოვრება. ნუ თუ საყურადღებო არ არის ამ ცხოვრების ვითარება?

შვეიცარიას საზღვრავს ოთხი სახელმწიფო: აღმ.—ავსტრია, დასავლ.—საფრანგეთი, ჩრდილოეთით—გერმანია და სამხრ.—იტალია. ამ გვარად ეს პაწია თავისუფალი ქვეყანა მომწყვდეულია ოთხ ვეშაპთა შორის, რომელნიც მუდამ მზად არიან ერთმანერთს დაეცნენ და წაჰგლიჯონ რამე. შვეიცარიას-კი ამ დროს მუდმივი ჯარიც არა ჰყავს. არხეინად შესცქერის მეზობელთ თოფ-ზარბაზანთ და მისთვის აუარებელი ფულის ფლანგვას. აქაური ჯარის კაცი მხოლოდ 45 დღეა ჯარში (პირველს სამ წელიწადს), დანარჩენ დროს-კი სახლში ატარებს; ყოველივე სამხედრო წყობილება, თოფი და მისი ბარგი-ბარხანა, თან აქვს, სახლში უწყვია. მიუხედავად ამისა აქ ყველა გლეხი მეომარია, ყველა სალდათია, დაძახებისთანავე მზად არიან ქუდზე კაცი გამოვიდეს სამშობლოს დასაცველად. დიაღ, შვეიცარიის ჯარი

შუა. მატარებლები ახლა დაუბრკოლებლად დაიარება.

⁂ ნატანები: 22 ნოემბერს სახალხო მატარებლის მემაშინემ დაინახა, რომ რკინის გზის ლიანდაგზე კაცი წევს, გააჩერა მატარებელი და ნახეს, რომ ამ უცნობს კაცს თავი ძრიელ ჰქონდა დაშავებული. თავგატეხილი იმავე მატარებლით ტფილისის რკინის გზის სამკურნალოში წამოიყვანეს.

⁂ ახალციხე: არ იქმნა, ვერ შეჩერდა გადასახლება ახალციხის მაზრიდან მაჰმადიანთა. მეკომურნი, ვისაც გადასახლება გადუწყვეტია ოსმალეთში, ჰყიდიან თავიანთ მეზობლებზე ნადელში მიცემულს სახნავ მიწებს და ბახჩებს, რასაკვირველია, იაფ ფასად და შემდეგ თავსანებებენ თავიანთ სამშობლო ქვეყანას. ამ დღეებში ტფილისის საგლეხო საკრებულოს გაეგზავნა აქედგან 145 ოქმი შესახებ ნადელების გადაცემისა.

კანონი ნებას აძლევს მეკომურს გადასცეს თავისი ნადელი მეზობელს. ამითი სარგებლობენ ახალციხის მკვიდრნი ქართველნი-მუსულმანნი და ჰყიდიან მამულს.

ურიგო არ იქმნება, უმაღლესმა მთავრობამ დროებით ადმინისტრატიულის წესით შეაჩეროს ასე მოუფიქრებლად და უგუნურად სხვაგან გადახვეწა და შემდეგ გულ-დამშვიდებით გამოიკვლიოს, რა აიძულებს აქაურ მკვიდრს დასტოვოს თვისი მიწა-წყალი და გადიკარგოს უცხოეთში.

⁂ გაზეთი „მშაკი“ ამბობს, რომ ოსმალეთის მთავრობამ აღკრძალა ჩვენი გაზეთი სტამბოლშიო.

⁂ 1 დეკემბერს შესრულდება ათი წელიწადი სომხურ გაზეთის „ნორდარის“ არსებობისა. გაზეთის რედაქციას განუზრახავს ამის გამო ათის წლის იუბილეი გადიხადოს. გაზეთის თანამგრძნობელთა შორის აღმოჩენილან ისეთნიც, რომელთაც აზრად თურმე აქვთ შეჰკრიბონ ფული და დააარსონ ფონდი გაზეთის სასარგებლოდ. ამ ფონდს ის დანიშნულება ექმნება, რომ თუ ვინიცობაა გაზეთს გაუჭირდა, ხელი გაიმართოს ფონდით და გაუჭირებლივ განაგრძოს თვისი არსებობა.

⁂ სოფ. ხუმელაგა (კავკავის მაზრა): სწორედ 9 ნოემბერს, ღამე, როცა ჩვენს სოფელში დღეობა იყო ეკკლესიისა და ხალხი ღამეს ათევდა, დიდად გართულ ქეიფსა და სმა-პურობაში, ატყდა ეკკლესიის ზარების რეკა. თურმე სოფლის მახლობლად ქურდები დასხმოდნენ თავს მალაკანს მეწისქვილეს. ამ მეწისქვილეს ოქტომბერში დაეცნენ ქურდები და უნდოდათ მოეპარათ მისთვის ცხენები, რომელიც კარგის ჯიშისა ჰყავდა, მაგრამ მაშინ ვერ მოახერხეს, რადგან მალაკანი მხნედ და ყოჩაღად დაუხვდა ავაზაკებს. იმ ღამეს-კი, როგორც გამოსულიყო მეწისქვილე გარედ, ჩასაფრებულს ავაზაკს დაეცა თოფი საწყლისათვის. ტყვია მარცხენა ფერდში მოჰხვედროდა და მარჯვენაში გავარდნილიყო. მისი ცოლი მოიჭრა წივილ კივილით სოფელში და ასტეხა ზარის რეკა. ხალხი შეგროვდა და საჩქაროდ გასწია წისქვილისკენ, სადაც საშინელი სურათი წარმოუდგა თვალ-წინ: განგმირული მალაკანი სისხლის გუბეში სცურავდა და საშინლად ჰგმინავდა. იმის ცოდვით ავივსენით დამსწრენი. ხუთი წვრილ-შვილი გარს შემოხვეოდნენ და სტიროდნენ. რამდენისამე წამის შემდეგ დაჭრილმა სული განუტევა.

⁂ მუშთეიდის ბაღში აპირობენ დიდის აუზის გაკეთებას, სადაც თევზი უნდა გააჩინონ და გაამრავლონ. ამ საქმის მცოდნე ბ-ნი კოვროვსკი უკვე ჩამოსულა ტფილისში. („Т. Л.“).

---

### შემოწირულობანი

—

მოწყალეო ხელმწიფევ,
ბ. რედაქტორო!

ამასთანავე გაახლებთ 31 მ. რუსთველის ძეგლის სასარგებლოდ შეკრებილს და გთხოვთ უმორჩილესად, ეს ფულები გადასცეთ ვისდამიც ჯერ არს და თქვენს პატივცემულს გაზეთში გამოაცხადოთ სახელი და გვარი შემომწირველთა.

აი სია შემომწირველთა:

დიმიტრი ერისთავმა—3 მ., უცნობმა 1 მ., მარია ძნელაძისამ—2 მ., ბესარიონ ძნელაძემ—1 მ., გერასიმე არხიმანდრიტმა—1 მ., თ. ჯაბა ერისთავმა—2 მ., დათიკო ბერიძემ—1 მ., კაცია ჟღენტმა—1 მ., თ. ტიფო ნაკაშიძემ—3 მ., თ. მელიტონ მიქელაძემ—2., ნიკო მამულაიშვილმა—1 მ., ბესარიონ ბერიძემ—1 მ., უცნობისაგან—1 მ., თავ. ვახტანგ გურიელმა 3 მ., კნ. ვერა ერისთავისამ—3 მ., კნ. ციცინო ერისთავისამ—3 მ.

ციცინო ერისთავისა

ამ ფულისა გვქონდა 248 მან. 20 კ. სულ შესდგა—279 მან. 20 კ.

რედ.

---

### წერილი რედაქციის მიმართ

—

გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის საშვალებით მადლობა მოვახსენო იმათ, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ ჩემდა სასარგებლოდ გამართულ საღამოში დაბა აბაშას: კნიაჟნა ელისაბედ ვლად. აბაშიძის ასულს, ნატალია ფ. გუგუშვილის ასულს და ფეოდოსია ჩიქოვანის ასულს, ბ-ნ ვლადიმერ ელიავას, ნ. გაბუნიას და მ. ნადირეიშვილს. ამასთან უგულითადეს მადლობას ვუძღვნი საზოგადოებას, რომელიც ასეთის თანაგრძნობით მიეგება ამ საქმეს.

სტუდენტი კლემენტო თოფურიძე
1893 წ. 16 ნოემბერი
ქ. ხარკოვი.

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

იურიევის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის პროფესორმა ვასილიევმა, რომლის „დარიგება“ ამას წინად გვქონდა მოყვანილი, Н. В.-ს წერილი შემდეგი გაუგზავნა:

ვსთხოვ თქვენის პატივსაცემელის გაზეთის რედაქციას ჩემი მცირე შენიშვნა დაჰბეჭდოს იმ სიცრუის გამო, რომელიც მიტავის გაზეთმა ჩემზედ გაავრცელა. იურიევის უნივერსიტეტის პროფესორებმა რომ მოისურვონ დარღვევა ყველა იმ ზორბისა, რომლებიც მათ შესახებ ვრცელდება ბალტიის მხარეში, მაშინ სრულიად არ დარჩებოდათ დრო თავის საქმე აწარმოებინათ. ამისათვის მე სრულიად არ გამაოცა M. T.-ის საქციელმა ჩემს შესახებ, ხოლო ის მაშტერებს, რომ რუსეთის მწერლობა ამისთანა სისულელეს გადაბეჭდავს ხოლმე.

დიდის სიამოვნებით გადმოვბეჭდეთ ეს წერილი ბ-ნ ვასილევისა,— ამბობს გაზეთი Р. Ж.-ი, ხოლო არ შეგვიძლიან ჩვენი განცვიფრება არ გამოვაცხადოთ ბოლო სტრიქონების გამო. რუსეთის მწერლობამ ბ-ნ ვასილიევის წერილი რომ გადმობეჭდა, წინადვე ხომ არ იცოდა, ვის უნდა მიეწეროს ის სისულელე, რომელმაც ბ-ნი ვასილიევი გააწბილა. ამასთანავე, რუსეთის მწერლობამ ხსენებულ წერილის გადმობეჭდვით თავისი უადვილესი გასაგები მოვალეობა აღასრულა—გამოქვეყნება როგორც სანუგეშო, ისე უსიამოვნო ამბებისა ჩვენის ცხოვრებიდგან. დასასრულ, რუსეთის მწერლობას, ვფიქრობთ ჩვენ, ეხლაც ნება აქვს მოელოდდეს უკეთესს განმარტებას, ვიდრე ჭორებსა და სისულელეზედ ლაპარაკით თავის გამართლებას.

---

### ყველა სახელმწიფოთა უნივერსიტეტების კავშირი.

პარიჟში დაარსდა კომიტეტი, რომელსაც აზრად აქვს იქონიოს კავშირი ყველასთან, ვინც უმაღლეს სასწავლებელში ან ასწავლის ანა სწავლობს. ეს პროექტი ეკუთვნის საფრანგეთის პროფესორებსა და მეცნიერთ. ამას წინად საფრანგეთის სტუდენტების კრებაზედ პროფესორებმა რიშემ, მარილიემ და ვეისმა ილაპარაკეს ამ საგნის შესახებ და მიაქციეს ყურადღება შემდეგ მუხლებს პროგრამისას: 1) რაც შეიძლება გათანასწორდეს პირობანი სტუდენტთა-მიერ სამეცნიერო შრომისა; 2) გაადვილდეს ყველა ქვეყანაში სპეციალურ საგნების შესწავლა და ამისათვის მიღებულ იქმნას სისტემა დახმარებისა ხელოვნების შესწავლის მსურველთა გაგზავნით ერთის ქვეყნიდგან მეორეში. 3) გაძლიერდეს კავშირი სხვა-და-სხვა ქვეყნების მასწავლებელთა და მოწაფეთა-შორის დღესასწაულებების გამართვითა უნივერსიტეტებში: 4) უნივერსიტეტებმა მომეტებული ყურადღება მიაქციონ, რომ ერთა შორის დამოკიდებულებაში მეტი სამართლიანობა ჩამოვარდეს.

იმავე პროფესორებმა განიხილეს შემდეგი საგნები: ა) რა გზით შეუძლიანთ რამდენსამე პროფესორს და რამდენსამე სტუდენტს მიახწიონ თავის მიზანს და დასძლიონ საზოგადოების ცრუ მორწმუნოება.

ბ) ასეთი განზრახვა ხელს ხომ არ შეუშლის პატრიოტულ გრძნობას.

კომიტეტის წევრთა სთქვეს, რომ ეს საქმე მხოლოდ მაშინ გაიმარჯვებს, როცა ამ კომიტეტს რაც შეიძლება, მეტი განათლებული წევრი ეყოლება სხვა-და-სხვა ქვეყანაში. რაც შეეხება პატრიოტობისა და მამულის სიყვარულს, კომიტეტმა გადასწყვიტა, რომ სტუდენტს ჯერ ერთი სამშობლოს არავინ ავიწყებინებს და მეორეც, სტუდენტს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ თავის სამშობლოს გარდა კიდევ არის სხვა სამშობლო—მეცნიერება.

ასეთივე განზრახვა ჰქონდა ინგლისში ამ ორმოცის წლის წინად რიჩარდ კობდენს, რომელმაც ურჩია უნივერსიტეტების საბჭოს, საერთაშორისო ფაკულტეტი დავაარსოთ და ისე მოვაწყოთ საქმე, რომ სტუდენტი ორ წელიწადს ოქსფორდში სწავლობდეს, ორ წელიწადს პარიჟში, ორ წელიწადს რომში და ორ წელიწადს კიდევ გერმანიის რომელსამე ქალაქშიო. საფრანგეთის კომიტეტს იმედი აქვს, რომ ამ ჟამად მისი აზრი განხორციელდება.

---

## რუსეთი

—

ასტრახანის ქსენონის ექიმის სიტყვით ქალაქ ასტრახანში ამ ჟამად ორასამდე კეთროვანია. სჩანს აუცილებლად საჭიროა ასტრახანშიაც

---

არა ჰყავს მაგრამ მთელი ხალხი ჯარი არ არის? ნუ თუ ამათი ურთიერთობა ღირს-საცნობი არ არის? მეტადრე ჩვენთვის, კავკასიელთათვის, სადაც ასეთივე სხვა-და-სხვაობაა გვარ-ტომობისა, ენისა და სარწმუნოებისა. შეიძლება ჩვენც ვისწავლოთ რამე შვეიცარიიდამ. მაშ ნება მიბოძეთ თქვენი ყურადღება მივაპყრო ამ ქვეყნის საზოგადოებრივ და საპოლიტიკო ცხოვრებასა და წესწყობილებას.

—

შვეიცარიის შესახებ ბაასის დაწყება შეუძლებელია, თუ პირველად მის დაარსების ამბავი არ მოვიხსენიეთ. უამისოდ ბევრ დღევანდელ გარემოებას ნათლად ვერ გავირკვევთ და ვერ გავითვალისწინებთ. როდის და როგორ შეუკავშირდა ეს სხვა-და-სხვა ერი ერთმანერთს? რამ გამოიწვია ასეთი შეკავშირება? რამ გაამაგრა ეს კავშირი და რამ განამტკიცა ერთობა? რა დაედვა საფუძვლად ამ ერთობას? ამის პასუხს ჩვენ გვაძლევს შვეიცარიის ისტორია, რომელსაც მოკლედ მოგითხრობთ.

ამბობენ, ერის განვითარებაზე დიდი გავლენა აქვს ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობასაო. თუ ეს მართალია საზოგადოდ, მართალი უნდა იყოს განსაკუთრებით შვეიცარიის შესახებ. შვეიცარიის რუკას რომ დახედოთ, მაშინვე შეამჩნევთ ერთ გარემოებას: თითქმის ყოველ მხრივ შემოფარგლულ-შემოზღუდულია მთებითა და ხეობებით. პირველად თქვენს ყურადღებას მიიქცევს ალპის მთები, რომელიც იყოფა ორ ნაწილად: სენ გოტარი (Les S.t—Gothard სიმაღლით 11,300 ფუტი) და ფურკა (La Furca, 13,000 ფუტი). ამ ორ მთას აქვს ხუთი ტოტი, რომელიც ირგვლივ შემოჰხვევია შვეიცარიას. აქავე ჰნახავთ მეორე მთას, ჟურა, რომელიც ამართულია საფრანგეთის საზღვართან. ამ სახით, ამ მთებს ეს პაწია ქვეყანა შუაში მოუმწყვდევიათ. ამით საფრანგეთს, გერმანიას და იტალიას თითო ნაწილი ჩამოსცილებია და ამ მთებში ერთად შეხიზნულა. რასაკვირველია, მარტო ბუნება იქ ვერას გააწყობს, სადაც მკვიდრნი მოკლებულნი არიან მხნეობას და უნარს. შვეიცარიელთ შესახებ-კი ამას ვერ ვიტყვით. ისინი მე-XIII საუკუნიდამ სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ როგორმე ერთად შეკავშირებულიყვნენ და ერთი პოლიტიკური სახე მიეღოთ. ისტორიულ წარსულში შვეიცარიის ზოგი ნაწილი (კანტონი) ცალკე, თავისთვის სცხოვრობდა, ზოგი ეკუთნოდა გერმანიას, იტალიას და საფრანგეთს. მე-XIII საუკ. გერმანიაში აჯანყდა აზნაურთა გვარი, ჰამსაბურგელნი და ერთი მათგანი, რუდოლფი მოულოდნელად აყვანილ იქმნა სამეფო ტახტზედ (1273 წ.) ამის გამო გაძლიერდა უკმაყოფილება და რუდოლფის სიკვდილის შემდეგ (1291 წ.) ჩამოვარდა არეულობა. ეს გარემოება გამოიყენა დღევანდელმა შვეიცარიის სამმა კანტონმა: შვიცმა, ურიმ და უნტერვალდენმა და ურთიერთ შორის პირობა შეჰკრეს, ერთად ემოქმედნათ მტერთა წინააღმდეგ. ამ პირობას უწოდეს საუკუნო კავშირი (1291 წ.) ეს კავშირი იყო მიმართული არა იმპერატორის წინააღმდეგ, არამედ ზოგიერთა მებატონეთა და თვით-ნება აგენტების წინააღმდეგ. ეს მებატონენი და აგენტები თავისუფლად ფარფაშობდნენ და ყოველგვარ უსამართლობას აყენებდნენ გლეხებს. ამათ შეჰფიცეს ერთმანერთს საერთო ძალ-ღონით დაეცვათ თავიანთი ადამიანური უფლება და სარჩოსაბადებელი ამ მცარცველებისაგან. „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვისაო“—აი რა დააწერეს თავიანთ დროშას *). ამით ჩაიყარა საძირკველი, რომელზედაც აშენდა დღევანდელი შვეიცარია. 1315 წ. ავსტრიის მეფე ლეოპოლდი შემოვიდა ჯარით შვეიცარიაში ურჩთა დასამორჩილებლად. მოკავშირენი დახვდნენ ამათ ერთ ვიწროებში და დაუწყეს ბრძოლა. ლეოპოლდი ძლეულ იქმნა და დაბრუნდა უკან. იმავე კვირაში ლიუცერინის ტბის ნაპირას შეიკრიბნენ წარმომადგენელნი შვიცისა, ურისა და უნტერვალდენისა და ხელ-ახლად შეჰკრეს პირობა საუკუნო კავშირისათვის. ამ პირობის უმთავრესი მუხლი იყო: ყველა, ვისაც-კი ბატონი ჰყავს, დაემორჩილოს სამართლიან საქმეში, მაგრამ მოკავშირეთა წინააღმდეგ არას შემთხვევაში არ იმოქმედოს; ყოველივე მოლაპარაკება გარეშეებთან უნდა იქმნას მოკავშირეთა თანხმობით; დავა მოკავშირეთა შორის გათავებულ იქმნას მშვიდობიანად; როგორც გარეგან, ისე შინაგან საქმეებში ერთმანერთს უნდა დაეხმარონ და ერთად აკეთონ გასაკეთებელი. უმაღლესი მფარველობა გერმანიისა მაინც აღიარებულ იქმნა.

1332 წ. სამთა-კავშირს მიემხრო ლიუცერნი. ამით გაძლიერდა ლიგა. ამ დროს ბერნსა და ციურიხში გაჩაღდა ვაჭრობა და აღებ-მიცემობა. საჭირო შეიქმნა ბაზარი და მშვიდობიანობა; ფეოდალები ხშირად თავს ესხმოდნენ ვაჭართ და სძარცვიდნენ. მაგ. 1339 წ. ბერნს მიუახლოვდა ფეოდალთა ჯარი ქალაქის ასაკლებად. მაგრამ ბერნელებმა დაამარცხეს. ამისათვის 1351 წ. ციურიხი შეუერთდა გაძლიერებულ ოთხთა კავშირს. ამ გარემოებით მოკავშირეთ შეიძინეს საჭირო პოლიტიკური ცენტრი და ბაზარი, სადაც შეეძლოთ თავიანთი ნაწარმოების გაყიდვა დ მაგიერის მოპოვება. გაიმართა მისვლა-მოსვლა ციურიხსა და მოკავშირეთა შორის. გაფართოვდა ხალხის მოთხოვნილება და ქალაქიც უცილებელ საჭიროებად შეიქმნა. 1352 წ. ორმა კანტონმა, გლარუსმა და ცუგმა უარ-

*) ამის სახსოვრად ჟენევში არის ამართული ძეგლი, რომელზედაც გამოქანდაკებული არის ორი ქალი ხელი-ხელ ჩაკიდებული, ზედ წარწერით: „Un pour tous, tous pour un (ერთი ყველასთვის და ყველა ერთისთვის·)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაარსდეს თავშესაფარი კეთროვანთათვის.

—

განზრახვა აქვთ სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროებთან დაარსონ სასოფლო სამეურნეო საბჭო მეურნეობის გასაძლიერებელ ღონისძიებათა აღმოსაჩენად. საბჭოს საგნად ექმნება: ა) პროექტი ახალ-კანონთა, რომელნიც შეეხებიან სასოფლო მეურნეობას, აწინდელ კანონდებლობის შეცვლის და სხვ. ბ) განხილვა სამეურნეო საზოგადოებათა, ერობათა, სხვა დაწესებულებათა და კერძო კაცთა იმ მოხსენებათა, რომელნიც ურჩევენ მთავრობას, ესა თუ ის ღონისძიება იქმნას მიღებული მეურნეობის განსაკარგებლადო. და გ) განხილვა საზოგადოდ ყველა იმ საქმისა, რომელიც შეეხება მეურნეობას და რომლის განხილვასაც მოისურვებს მეურნეობის მინისტრი.

ყოველგვარი გადაწყვეტილება საბჭოსი წარედგინება მეურნეობის მინისტრს, რომელიც განიხილავს ამ გადაწყვეტილებას. ეს გადაწყვეტილებანი, თუ სახელმწიფოს წარედგინა, განმარტებული უნდა იქმნას საბჭოს მოხსენებით. ყოველ წლივ უნდა იბეჭდებოდეს და საჯაროდ გამოცხადდეს ანგარიში საბჭოს მოქმედებისა.

—

16 ნოემბერს პეტერბურგში ფრანგ-რუსთა ბალ-მასკარადი იყო. გაზეთ «Рус. Жизнь»-ში ესეა აწერილი ეს საღამო:

მეტად სამწუხაროდ იმოქმედა საზოგადოებაზედ გუშინდელმა ბალ-მასკარადმა. თუმცა 12 საათზედ კარგა ბლომად მოგროვდნენ სტუმრები, მაგრამ პირველ საათზედვე საზოგადოება საათს სინჯავდა, რაიცა უტყუარი ნიშანია მოწყენილობისა. გუშინდელმა დეკორაციებმა არავითარი სიამოვნება არ აგრძნობინა დამსწრეთ, რადგანაც დეკორაციები თითქმის არც-კი სჩანდა. ორი სურათი იყო მხოლოდ გამომხატველი რუსეთის ესკადრის მისვლისა საფრანგეთში და ეს სურათებიც წარმოადგენდნენ პაწაწა ტილოზედ გაკრულ გემებს. დარბაზის „მშვენიერი მორთულობა“ მხოლოდ რამდენიმე მცენარე იყო და მრავალისაგან-მრავალი ბაირაღი.

## ზოლას სიტყვა

—

პარიჟის Hôtel Continental-ში სადილი გამართეს სხვა-და-სხვა სახელმწიფოების გაზეთების კორესპონდენტებმა და ემილ ზოლაც მიიწვიეს. სადილმა ძალიან მხიარულად ჩაიარა. ემილ ზოლამ შემდეგი სიტყვა წარმოთქვა:

ბატონებო და ძვირფასნო ძმანო! დიდად ბედნიერი ვარ, რომ თქვენ შორის ვიმყოფები, ჩემს მეგობრებთან. საფრანგეთში ჩემს სიტყვას მკაცრადა და უსამართლოდ ეპყრობოდნენ; საზღვარ გარედ-კი, როგორც მგონია, უფრო სამართლიანად მომეპყრნენ: ეტიუდები ჩემის წიგნების შესახებ ზედმიწევნითა და საკვირველის სინამდვილით იწერება და მე თითქმის ყოველთვის ვეთანხმები ავტორების დასკვნას. ამასთანავე ჩვენში ხშირად სალიტერატურო სჯა-კამათობაში პირადს ანგარიშს ჩაურთვენ ხოლმე.

დღეს აქ, უცხოელ მწერალთა შორის, ისეთსავე ოცნებამ შემიპყრო, როგორც ლონდონში ამ რამდენისამე კვირის წინად. ფიქრად მომივიდა გაზეთების ასოციაციის დაარსება. ეს იყო მეორე მიზეზი, რომლის გამოც დიდად მესიამოვნა, რომ დღეს აქ მომიწვიეთ. დიაღ, იმედი მაქვს, რომ ვნახავ ყველა გაზეთებს, ერთის აზრით დაკავშირებულს. თქვენ ყველას, აქ შეკრებილთ, ყველა ქვეყნების წარმომადგენელთ, შეგიძლიანთ, თუ მოისურვებთ, დააარსოთ სადიპლომატო კონგრესის მაგვარი დაწესებულება და თქვენის სურვილისამებრ გარდასწყვიტოთ ხოლმე საქმე მშვიდობისა და ომისა, — ხოლო უფრო მშვიდობისა. მწერლობას ხომ, საფიქრებელია, ძალ-უძს მოითხოვოს იარაღის აყრა. ამიტომ ვსვამ სადღეგრძელოს კეთილის ამხანაგობისას სახელმწიფოს გაზეთთა შორის —ეს ადვილი საქმე არ არის— და კეთილის ამხანაგობისას ყოველ ერთა შორის დედამიწის ზურგზედ და საერთო მშვიდობიანობისას.

დასასრულ, ყველა იქ მყოფი მიწვეულ იქმნა მწერლობის კონგრესზედ, რომელიც იქმნება მომავალ წელსა ნტვერპენში.

## უცხოეთი

—

**სპარსეთი.** თეირანიდგან იწერებიან შემდეგ ცნობებს ქუჩანში მომხდარ მიწის ძვრის შესახებ: პირველად მიწა იძვრა 17 ნოემბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ. დაიქცა ქალაქი და ყველა სოფელი ქალაქ გარშემო 7 მილზედ. ოფიციალურ ცნობებით დაიღუპა მცხოვრებთა ორი მეხუთედი, 20,000 კაცამდე. მიწის ძვრამ 24 ნოემბრამდე გასტანა. 23 ნოემბერს კიდევ ქარიშხალი ამოვარდა და ძლიერ შეაწუხა უსახლ-კარო ხალხი.

—

გაზეთი „Politische Correspondens“-ი იუწყება, რომ ივნისში სპარსეთის შაჰი ევროპას გაემგზავრება და მოგზაურობას ჯერ რუსეთიდგან დაიწყებსო.

—

ვენაში მომხდარ კრებაზედ სომხებმა დაადგინეს შემდეგი რეზოლიუციები:

სომხები ამბობენ, სრულიად დავკარგეთ იმედი ბერლინის ტრაქტატის განხორციელებისა, რომლის ძალითაც დიდრონი სახელმწიფონი უნდა დაგვხმარებოდნენ. მაშასადამე ხონთქარს უარი უთქვამს რომელსამე რეფორმების შემოღებისა.

ამიტომ ევროპაში მცხოვრებ სომეხთა თანხმობით გადასწყვიტეს მიჰმართონ რუსეთს და სთხოვონ მფარველობა და აგრეძვე, რომ ყარსში მყოფ რუსის ჯარმა სომხეთი დაიჭიროსო.

სომხებს იმედი აქვთ, რომ რუსეთის მთავრობა დაუნიშნავს გუბერნატორს და მიანიჭებს თვით-მმართველობას უფრო მეტის უფლებით, ვიდრე ეს რუსეთში ერობასა აქვს მინიჭებული.

განზრახვა ჰქონდათ ეს რეზოლიუციები ჯერ-ჯერობით საიდუმლოდ შეენახათ, მაგრამ ეს ხმები გავრცელდა ლონდონის საპოლიტიკო კლუბებში და დიდი ლაპარაკი გამოიწვია.

ზოგიერთ აქაურ დიპლომატებს იმედი აქვთ, ამ რეზოლიუციების განხორციელება შესაძლებელია, რადგანაც იმ სახელმწიფოთ, რომელთაც ბერლინის ტრაქტატს ხელი მოაწერეს, არ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა წინაშე სომხეთისაო.

(Новости)

## თეატრის მატიანე

გუშინ-წინ, ორშაბათს, 22 ნოემბერს, საზაფხულო თეატრში გამართულ იქმნა სომხური წარმოდგენა. სომხურმა დრამატიულმა დასმა ამ დასის ერთ საუკეთესო არტისტქალის ქ-ნ ვარდუის საბენეფისოდ წარმოადგინა ქართულიდგან გადათარგმნილი კომედია ავქ. ცაგარლისა „ხანუმა“, რომლის როლსაც თვით მებენეფისე თამაშობდა. „ხანუმა“ გადაუთარგმნია ბ-ნს არაქსიანს. ხშირად შეჰხვდებით შიგადაშიგ ქართულს სიტყვებსაც „ბებია გენაცვალოს“, „ჭირი მოგჭამე“ და სხ. ამას გარდა აკოფა, რომლის როლსაც საუცხოოდ ასრულებდა თვით მთარგმნელი, ზურნაზედ სათქმელს სიმღერებს ქართულს ენაზედ ამბობს. პიესამ მწყობრად ჩაიარა, მხოლოდ ცოტა როლების უსწავლელობა უშლიდა ხელს. განსაკუთრებით კარგნი იყვნენ თვით მობენეფისე ქ-ნი ვარდუი, ქ-ნი მელიქიანი ქაბატუას როლში და ქ-ნი ახაშიანი, რომელმაც დიდის ხელოვნებით წარმოგვიდგინა მიკიჩას ქალიშვილის სონას როლი. აბელიანს არა უჭირდარა ვანო ფანტიაშვილის როლში, მეოთხე მოქმედებაში თავისის ძმისწულის საცოლოზედ უცნაურად რომ არ დაეწყო თვალების ჭყეტა. ამავე მოქმედებაში ქართულის სცენის არტისტებმა ქ-ნმა ჩერქეზიშვილისამა და ბ-ნმა აწყურელმა ზურნაზედ ლეკური ითამაშეს და ისეთს აღტაცებაში მოიყვანეს საზოგადოება, რომ მისის თხოვნით ლეკური რამდენჯერმე განმეორებულ იქმნა. დასასრულ გაიმართა დივერტისმენტი, რომელშიაც საუცხოოდ წაიკითხა სომხური ლექსი ქ-ნმა ჰრაშიამ და მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ბ-ნმა პეტროსიანმა და მირალიანმა. მობენეფისეს საზოგადოებამ ოქროს საათი მიართვა.

გარდახვეწილი

## ბიბლიოგრაფია

—

„გვირგვინი“, გამოც. მღ. ვ. კარბელაშვილისა.

ეხლახან გამოვიდა მეოთხე თავი „გვირგვინისა“ ცალკე წიგნაკად. ამ თავს ჰქვიან „სასწაულთ მოქმედებათათვის და საკვირველებათა“. ამ წიგნაკში, როგორც სათაურიდგანაც სჩანს, მოთხრობილია სხვა-და-სხვა სასწაულებრივი ამბები წმინდანთა ცხოვრებიდამ და მათ დაკვირვებიდამ. სასწაულებს წინად დიდი ზედმოქმედება და გავლენა ჰქონდათ ერის მისწრაფება-წარმოდგენაზე. ქრისტიანებრივ სარწმუნოების—და ყოველი სარწმუნოებისაც—დასანერგავად და გასავრცელებლად მქადაგებელნი და მოძღვარნი დიდად სარგებლობდნენ ამ სასწაულებრივ ამბების მოთხრობით. მდაბიო ერი ამ გვარ ქადაგებას დიდის ხალისით ისმენდა და ქრისტიანდებოდა. აი ამიტომაც ფრიად სასარგებლოდ მიგვაჩნია ეს წიგნაკები მრავლად გავრცელდეს მდაბიო ხალხში. ურიგო არ იქნებოდა, რომ ამ წიგნის ასიოდე ცალი მაინც შეეტანათ აჭარა-შავშეთში და იქ გაევრცელებინათ. მთიულთა, თუშ-ხევსურთა და ინგილოთაც კარგ სარგებლობას მოუტანდა ეს გამოცემა.

ბოლოს ვისურვებთ, რომ სხვა მღვდლებსაც მიებაძათ კარბელაშვილისათვის და თითო წიგნი მაინც დაებეჭდათ ქართულ ძველ საღვთისმეტყველო ლიტერატურიდამ. ამ მხრივ სასურველია, რომ გამოიცეს სხვა-და-სხვა წერილები შატბერდის კრებულიდამ და მეათე საუკუნის საგალობლიდამ. ეს გამოცემანი სასარგებლონი იქნებიან არა თუ მარტო

---

ჰყვეს ავსტრიის ბატონობა და შეუამხანაგდნენ მოკავშირეებს. 1353 წ. მიემხრო ქ. ბერნი. ამ გვარად კავშირი შესდგა რვა კანტონისაგან. ახლა ხელ-მეორედ დაიდვა პირობა და ნათლად გაარკვიეს თვითვეულის კანტონის უფლება-მოვალეობა. ეს დოკუმენტი იმით არის შესანიშნავი, რომ პირველად აღიარებულ იქმნა კანონად. ხმის უმრავლესობით საქმეთა გადაწყვეტა, რასაკვირველია, არ ეჭაშნიკათ მოსაზღრვე მეფეთ და 1386 წ. ლეოპოლდი ავსტრიელი დაეცა შვეიცარიელებს. უკანასკნელებმა სძლიეს მტერნი და მოჰკლეს თვით ლეოპოლდი. 1388 წელს ავსტრიელნი ხელ-ახლა იქმნენ დამარცხებულნი მოკავშირეთა მიერ. 1393 წ. ციურიხში შეიკრიბნენ კანტონების წარმომადგენელნი (დეპუტატნი) და შეადგინეს ახალი ხელ-შეკრულობა. ამ პირობის ძალით მცირე მიზეზის გამო ომის დაწყება გარეშე მტრებთან აღკრძალული იყო; აღიარებულ იქმნა ტაძართა ხელ-შეკრულობა და სხ. „კავშირი“ ისე გაძლიერდა, რომ გერმანიას წაართვა ორი ქალაქი, ფრიბურგი და სოლოტურნი, და თვითონ შემოიერთა. ამ დროს „კავშირს“ მიემხრო ტურგაუ. 1501 წ. ცვშირსვე მოემხრნენ ბაზელი და შავგაუზენი და 1513 წ. აპენცელი. ამგვარად 14 კანტონისაგან შემდგარი კავშირი შეუცვლელად დარჩა 1798 წლამდე, მიუხედავად იმისა, რომ შიგ ქვეყანაში სარწმუნოებისთვის ომი, გლეხთა არეულობა და სხვა ამისთანაები ხშირი იყო. ამ ხნის განმავლობაში ბერნსა და ციურიხში განვითარდა წარმოება. ამით კავშირიც გაძლიერდა და 1777 წ. ლიუდოვიკ XVI იკისრა მისი მეგობრობა.

მეორის მხრით, შვეიცარიაში თან-და-თან გაძლიერდა უსწორ-მასწორობა, ბევრ ალაგას მოქალაქეებმა ჩაიგდეს ხელში მართვა-გამგეობის საქმე. ამან უკმაყოფილება დაჰბადა გლეხკაცობაში. საჭირო იყო მცირე მიზეზი ამ უკმაყოფილების გამოსაცხადებლად. ამ ნაირ მიზეზად შეიქმნა საფრანგეთის დიდი რეველიუცია (1789 წ.). აჯანყებამ იფეთქა ყოველ კუთხეში. ამ საქმეში ჩაერია საფრანგეთი და ასტყდა ომი. ფრანგებმა დაამარცხეს მოკავშირენი და აიღეს ბერნი. ამით მოისპო შვეიცარიის კავშირი. თავისუფალი კანტონი ჟენევა ფრანგებმა შეიერთეს, მხოლოდ მოკავშირენი-კი თავისუფლად დარჩნენ. დაიწყეს ხელახლად ფიქრი კავშირის დაარსების შესახებ. ამ დროს სარბიელზე გამოვიდა ორი დასი: ერთს სურდა კანტონთა სრული გაერთიანება და მათ განსაკუთრებულ წყობილებათა მოსპობა (ცენტრალისტები); მეორეც ერთობას ეტანებოდა, მაგრამ იმ პირობით, რომ კანტონებს შერჩენოდათ თვით-მართველობა და თავის საკუთარ საქმეებში ხელ-შეუხლებლობა (ფედერალისტები). უკანასკნელი დასი შეადგენდა უმრავლესობას. 1803 წ. ნაპალეონმა მოიწვია პარიჟს ორისავე დასის დეპუტატნი მოსალაპარაკებლად. იმპერატორმა თავისი მართლმსაჯულების სასწორი გადახარა ფედერალისტებისაკენ და მისცა ახალი კონსტიტუცია. აღდგენილი იქმნა ძველი „შვეიცარიის კავშირი“ და ამას მიემატა კიდევ ექვსი სხვა კანტონი. ამათი უმთავრესი დაწესებულება გახდა სეიმი ანუ კრება კანტონთა წარმომადგენლებისა. თვით მართველობა კანტონებისა დაკანონდა.

ქ. ჟენევამ ისარგებლა ნაპალეონის ტახტიდან გადაყენებით და შეუერთდა „ცვშირს.› ამის მაგალითს მოჰყვა ნევშატელი, რომელიც ნაპოლეონმა აჩუქა მარშალ აბერტიეს. ამ დროს „შვეიცარიის კავშირმა“ გამოაცხადა: ჩვენ არავისთან ომი არ გვსურს და ჩვენც თავი დაგვანებეთო. ეს ღაღადება შეისმინეს დიდმა სახელმწიფოებმა და 1815 წ. 20 ნოემბერს პარიჟის ხელ-შეკრულობით აღიარებულ იქმნა შვეიცარია საუკუნოდ ნეიტრალიტეტის ქვეყანად. აქედან იწყება შვეიცარიაში არეულობა. ზოგიერთმა კანტონებმა მოინდომეს განდგომოდნენ კავშირს. ამ გზას დაადგა პირველად ლიუცერნი. აქ სარწმუნოების გამო მოხდა უსიამოვნება პროტესტანტებსა და კათოლიკეთა შორის. კთოლიკენი დამარცხდნენ და მათი ეკკლესიები გაუქმდა. ეს-კი აშკარა დარღვევა იყო კანონისა, რომლის 12 მუხლი აღიარებდა ტაძრების ხელ-შეუხებლობას. ამისთვის საზოგადოების თანაგრძნობა კათოლიკეთა მხარეს იყო, რის გამოც ლიბერალურთ მთავრობა დაეცა ლიუცერნში და მისი ალაგი დაიჭირეს ულტრა-მონტანებმა (კონსერვატორ-კათოლიკენი). ახალ მთავრობამ მოიწვია დელეგატები სამ კათოლიკეთა კანტონიდგან და საიდუმლოდ დააარსეს ლიგა, რომელიც უნდა განსდგომოდა საერთო „კავშირს“. ეს ამბავი გაიგო სეიმმა და გადასწყვიტა ძალით დამორჩილება მეამბოხეთა. 1847 წ. ძალით აიღეს ლიუცერნი და მისი მომხრენი და დაუმორჩილეს „ცვშირს“. ამას შემდეგ შვეიცარიას აღარ გამოუჩენია სურვილი დანაწილებისა.

ამ გვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ შვეიცარია ერთ დროს არ დაარსებულა, ის იკრიბებოდა საუკუნოების განმავლობაში. საერთო მტერმა გარედ, ვაჭრობამ და აღებ-მიცემობამ შინ მოითხოვა გაბნეულ და უძლურ კანტონების შეერთება და ერთად ცხოვრება. ეს კარგად შეიგნო ხალხმა და კიდეც აღასრულა საწადელი. ამ ჟამად შვეიცარიას ორი სანატრელი უპირატესობა აქვს: 1, ხელშეკრულობა გარეშე სახელმწიფოებისაგან, 2, შინ კანტონთა თვით-მართველობა და მკვიდრთა სრული თავისუფლება და თანასწორობა.

საზღვარ-გარეთელი

ქ. ჟენევა.
11 ნოემბერი.

ხალხის საკითხავად, არამედ თვით მეცნიერებისთვისაც.

ესომ

## გასართობი

—

ძუნწმა (კუტლერმა) უთხრა უხვს (გრაფ ბუკინგამს): „აი ჩემსავით იცხოვრეთო“. გრაფმა უპასუხა: „ეგრე ცხოვრებას ხომ ყოველთვის შევიძლებ, როცა ფული აღარ მექნებაო“.

—

ისპანიის მეფემ ფილიპე მესამემ ერთ აჯანყებულ ქალაქის მცხოვრებთ ყველას აპატია დანაშაული, რამდენსამე კაცის გარდა. ერთმა მოხელემ შეატყობინა მეფეს, ამ ქალაქში იმალება ერთი აზნაურიშვილი, რომლისთვისაც დანაშაული არ გიპატიებიათო. მეფემ უპასუხა: „შენ უფრო კარგს იზამდი, იმ აზნაურიშვილისთვის შეგეტყობინებინა, რომ მე აქა ვარ, ვიდრე მე მეუბნები, ის ამა და ამ ალაგას არისო“.

—

ახალგაზდა ლამაზი ადიუტანტი სეპტელი ძლიერ მოეწონა ნაპოლეონ პირველის დას პრინცესა პოლინას, რომელმაც ვეფხის ტყავი აჩუქა ლალის თვლებიანი. იმპერატორმა ეს ამბავი შეიტყო, რადგანაც ეს ტყავი თითონ ეჩუქებინა პრინცესასათვის. დაიბარა სეპტელი და უთხრა: ამ საათშივე ესპანიას წადით და ეცადეთ იქ როგორმე მოგკლანო. სეპტელი წავიდა და ორის წლის შემდეგ ცალ-ფეხა დაბრუნდა. „ეს თქვენა ხართო“, უკმაყოფილოდ ჰკითხა იმპერატორმა.— „დიაღ, მეფეო, უპასუხა სეპტელმა, ბევრი ვეცადე თქვენი ბრძანება ამესრულებინა, მაგრამ ვერ მოვახერხე და ომში მარტო ფეხი მომწყვიტესო.

## გამოსადეგი ცნობა

—

სურდოსა და ყელის გაციების წამალი. ხელსახოცი გამოხანკეთ, ნასკვს დაჰკარით ხუთიდგან ათ წვეთამდე Terpinöl-ისა (ტერპენტინი არ გეგონოთ), უსუნეთ და ჩაისუნთქეთ ხოლმე. ეს წამალი სურდოს არ გააჩენს და, თუ გაჩნდა, შეასუსტებს და მოსპობს.

ესევე წამალი, ოდეკალონში არეული, პულვერიზატორით რომ აპკურით, ჭაერს დასწმენდს ოთახში და ცუდს სუნს მოსპობს.

სიცივისაგან რომ ყელი აგტკივდეთ, ეს წამალი ასე უნდა იხმაროთ: წითელი ტკბილი ჭარხალი უნდა დაფხიკოთ და თხელ ქსოვილში გამოსწუროთ. ამ წვენით (წყალი არ დაასხათ) ყელი უნდა ხშირად გამოივლოთ.

# დეპეშა

22 ნოემბერი

**პარიჟი.** ახალმა სამინისტრომ დღეს პარლამენტში წაიკითხა დეკლარაცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ გარდასახადი თანაბრად უნდა განაწილდესო, მეტადრე საჭიროა უკვე შეძენილ სიმდიდრეს დაედოს გარდასახადიო; სასმელების გაყიდვის წესი შეიცვლება და მუშათა საპენსიო კასსა გადაკეთდებაო; სამინისტრო წარუდგენს პარლამენტს კანონ-პროექტს ასოციაციების შესახებ, ხოლო უარ-ჰყოფს სახელმწიფოსა და ეკკლესიის განცალკევებასა და კონსტიტუციის გადასინჯვას.

**რომი.** მარცხენა დასმა მანიფესტი გამოსცა, რომლითაც უკმაყოფილებას აცხადებს იმის გამო, რომ სამხედრო ხარჯი მეტად გადაჭარბებულიაო.

პეტერბურგის ბირჟა, 16 ნოემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,65 | 7,65 | — ,, |
| ტრამოყნის კუპონები | 152¾ | 153½ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 245⅝ |
| —მეორისა . . . . | | — ,, | 222½ |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 190¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6%. . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . | — ,, | 99 | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 100 | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . | — ,, | 99 | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 97½ | — ,, | — ,, |

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს. 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიკით და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით ნოვოროსსიკით და სოხუმით.

პარასკეობით და ოთხშაბათობით: საღ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

**ფოთიდგან გადის:**

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე.

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

—


# განცხადებანი

კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—127)

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.




ამხანაგობა „ჰიგიენა“

ლიზოლინი

ცუდის სუნის მომსპობი წამალი

ნება-დართულია პეტერბურგის ექიმთა გამგეობისაგან. ისყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქის მაღაზიებში. ბლომად დაკვეთა შეიძლება

პეტერბურგის

სატეხნიკო ქიმიურ ლაბორატორიისაგან

С.-П.-Б. площ. Александринск. театра, 9.
Москва, Никольская, д. Шереметьева.
Варшава, Новый Свѣтъ, 37.




ИЗВѢСТНОЕ СВОИМЪ КАЧЕСТВОМЪ
ГЛИЦЕРИНОВОЕ МЫЛО
и
ВСЕВОЗМОЖНЫЕ БЛАГОВОННЫЕ
и
КОСМЕТИЧЕСКІЕ ТОВАРЫ
ФАБРИКИ
БРОКАРЪ и Кº
можно получать во всѣхъ лучшихъ магазинахъ
РОССІЙСКОЙ ИМПЕРІИ.

გამოვიდა და ისყიდება ოზურგეთში და ახალ-სენაკში კ. თავართქილაძის მაღაზიაში და სხვაქალაქებში, სადაც-კი ქართული წიგნი იყიდება

## თამარიანი

ისტორიული პოემა

შაირ წყობილად თქმული

თ. ს. გუგუნავას-მიერ

მეორე გამოცემა

ფასი 50 კაპ.

# გამოსადეგ ცნობანი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(გუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოანი, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10½—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და. დედათა სქესისა.

ი. ფ პროტასევიჩი, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ექიმი—ქალი ა. მ. ტურზოვიჩი 12½—1 საათამდის, სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. გურკო, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ქ. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

## „ჩიკაგო“

წინანდელი სასტუმრო „დანია“ გადავიტანე 1 ოქტომბრიდგან 1893 წ. მოსე არუთინოვის სახლში, კადეტის კორპუსთან, გოლოვინის პროსპექტის ახლო, ქალაქის შუაგულს, სადაც დავაარსე ახალი **მოწყობილი ოთახები** სახელად „ჩიკაგო“

ყველა ოთახები მშვენიერად არის მოწყობილი. სამაგალითო სისუფთავეა. მოსამსახურე ზრდილობიანია და სწრაფი. ყველაფერი წესიერია.

### ფასი ოთახების

დღიურად 3 აბაზიდგან—3 მანეთამდე, თვიურად და წლობით ბევრით იაფად.

ნ. კოსკანოვი

(25—1018—18)



**Въ Б. Жуковскій** С.-Петербургъ 10. рота, 16.

უმთავრესი წარმომადგენელი წისქვილის თვლების ფაბრიკისა ე. ტრაპპისა.

ტრაპპის ფაბრიკის მიერ ბოგემიაში გაკეთებული წისქვილის თვლები საუცხოვო გამოდგა. ამ თვლებით სამჯერ უფრო მეტი იფქვის, ვიდრე სხვა ფაბრიკის გაკეთებულ თვლებით, 8 საათის განმავლობაში ფქვავს 600 (ექვსას) ფუთს.

Ревель **А. Брокгаузенъ**

პრეისკურანტები და სხვა და სხვა დამარწმუნებელი ქაღალდები სურველს საჩქაროდ გაეგზავნება.



ახლად მოგონილი მაშინა „სლავა“ (დიდება), რომელიც უბრალო საწვავ ნავთით მოჰყავთ მოძრაობაში.

## ტურბინები

წყალის ამოსაყვანად, ჩარხს გაცილებით სჯობია და 2-დგან 200-მდე ცხენის ძალა აქვს.

В. Б. Жуковскій С.-Петербургъ 10, рота, 16.